აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის

სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახური

თბილისი, 2020

eeu.edu.ge

ანოტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- შესავალი, კვლევის მიზნები ან/და ჰიპოთეზები;
- გამოყენებული კვლევის მეთოდი;
- პოსტ-პანდემიურ პირობებში გაჩენილი ქვეყნის განვითარების შესაძლებლობები;
- დასკვნა და კვლევის მთავარი შედეგები.

დამატებითი მოთხოვნები:

- ანოტაციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს (მაქს. 250 სიტყვა);
- ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ზომის ფურცელზე;
- ავტორის სახელი და გვარი გამუქებული (Bold), უნივერსიტეტის დასახელება - ცენტრში, ფონტის ზომა 11;
- ნაშრომის სათაური - ცენტრში, ფონტის ზომა 12;
- ველები ოთხივე მხარეს 1 ინჩი (2.54 სმ.)
- ფონტი Sylfaen; ფონტის ზომა - 11, ინტერვალი პწკარებს შორის - 1.15
- ანოტაციის პირველი სტრიქონი არ უნდა იყოს აბზაცით. საკვანძო სიტყვები (მაქსიმუმ 5 სიტყვა), რომელიც მოსდევს ძირითად აბსტრაქტის ტექსტს, უნდა დაიწეროს აუცილებლად აბზაცით, დახრილი ასოებითა და ერთმანეთისგან მძიმეების გამოყოფით;

ანოტაციის ნიმუში იხილეთ <u>დანართ 1-ში.</u>

გისურვებთ წარმატებას!

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახური

დანართი 1

ანოტაციის ნიმუში

ონლაინ კომუნიკაციის განსაზღვრებათა ნაირსახეობები და მათი გავლენა საურთიერთობო კვლევაზე

ელიზაბეტ ლ. ანგელი

ოკლაჰომას უნივერსიტეტი

ანოტაცია

კვლევითი ნაშრომის მიზანია ინტერნეტსა და მის გარეშე არსებულ საურთიერთობო ფორმებზე განხორციელებული კვლევების მიმოხილვა და მათი კავშირის გამოვლენა კომპიუტერულ საკომუნიკაციო ფორმასთან მიმართებით (Computer-Mediated Communication, CMC). აღნიშნული კვლევები განსხვავდება კომპიუტერული კომუნიკაციის განსაზღვრებებითა და მისი გამოყენების მიდგომებით. მაგალითად, Butler and Kraut (2002) განმარტავენ, რომ პირისპირ კომუნიკაცია (Face to Face, FTF) გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე კომუნიკაცია კომპიუტერის, კერძოდ კი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მაშინ როცა, მსგავსი შინაარსის მატარებელ კვლევით ნაშრომებში კომპიუტერული კომუნიკაცია სხვა რაკურსითაა დანახული და შესაბამისად განსხვავებულ შედეგებს გვთავაზობს. აღნიშნული ნაშრომი შეისწავლის ავტორების: Cummings, Butler, and Kraut-ის (2002) მიერ განხორციელებულ კვლევას სამ სხვა სტატიასთან კავშირში, იმის დასამტკიცებლად, რომ კომპიუტერზე დაფუძნებულ კომუნიკაციის ყველა ფორმის შესწავლაა საჭირო იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა გავლენა აქვს CMS-ს ინტერნეტსა და მის გარეშე არსებულ ურთიერთობათა სახეობებზე.

საკვანძო სიტყვები: *კომპიუტერის მეშვეობითი კომუნიკაცია, პირისპირი კომუნიკაცია*